ლაპარაკი

I დავალება:

პირველი შეკითხვა

თქვენი აზრით, რა ნიშნით ირჩევენ მშობლები ამა თუ იმ სკოლას თავიანთი შვილებისათვის.

მეორე შეკითხვა

თქვენი აზრით, ნიშნავს თუ არა ნაკითხი, ინტელექტუალი მოსწავლე წარმატებულ მოსწავლეს?

დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

II დავალება:

ზოგი ფიქრობს, რომ ზედმეტი შრომაა გაკვეთილის გეგმის შედგენა, როცა იგი მასწავლებლის წიგნში მზამზარეულადაა მოცემული. ზოგის აზრით კი, რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს გაკვეთილის გეგმა, მაინც აუცილებელია მისი კონკრეტულ სიტუაციაზე მორგება.

ისაუბრეთ, როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

<u>პასუხი დაასაბუთეთ</u>!

III დავალება:

მოისმინეთ სიტუაციის აღწერა და იმსჯელეთ არგუმენტირებულად.

სიტუაცია:

თქვენი კოლეგა თავისი დაკვირვების შესახებ გესაუბრათ. მისი აზრით, ბავშვებს ყველაზე მეტად საკუთარი წარმატება-წარუმატებლობის ადეკვატური შეფასება უჭირთ. მცირე წარმატებას გადაჭარბებულად აღიქვამენ, უმნიშვნელო წარუმატებლობას კი – ძალზე მტკივნეულად. მან გკითხათ: „როგორ უნდა მოვახერხო, რომ ჩემმა მოსწავლეებმა საკუთარი მიღწევების სწორად შეფასება შეძლონ?“

გაუზიარეთ საკუთარი გამოცდილება თქვენს კოლეგას და ურჩიეთ, როგორ არის შესაძლებელი ამ საკითხის მოგვარება.

<u>არგუმენტირებულად დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია</u>!